ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-0121266213**
თარიღი: **23/09/2021**
პინი: **9241**

ადრესატი: შპს ელსა
საიდენტიფიკაციო ნომერი: 406326774
მისამართი: საქართველო, თბილისი, ისნის რაიონი, ვაზისუბნის III მ/რ, I კვ., კორ. 2, ბ. 78

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 2021 წლის 15 სექტემბრის N0121258683-67 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის №01.012030427 (30.10.20.) ბრძანებაში ცვლილებას.

გაცნობებთ, რომ დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის №01.012030427 (30.10.20.) ბრძანებით უკვე გაცემულია სპეციალური (ზონალური) შეთანხმება სატრანსპორტო საშუალებების მომსახურების ობიექტის (ავტოსამრეცხაო) განთავსების მიზნით, №16.012030415 (30.10.20.) ქალაქგეგმაბითი დასკვნის საფუძველზე. აღნიშნულ დასკვნაში არ არის დაკონკრეტებული სატრანსპორტო საშუალებების მომსახურების ობიექტის (ავტოსამრეცხაო) ბოქსების რაოდენობა და სპეციალური (ზონალური) შეთანხმების პირობას წარმოადგენს, რომ სატრანსპორტო საშუალებების მომსახურების ობიექტების დაპროექტება-მშენებლობა უნდა მოხდეს იმგვარად, რომ მომსახურება არ ხორციელდებოდეს ან/და მომსახურების პროცესი არ აღიქმებოდეს გზიდან/ქუჩიდან. შესაბამისად თქვენი მოთხოვნა დამატებითი ბოქსების მოწყობის თაობაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის №01.012030427 (30.10.20.) ბრძანებაში ცვლილებას არ საჭიროებს. აღნიშნული განიხილება სსიპ ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურში პროექტის შეთანხმების სტადიაზე.

სხვა კონკრეტული მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში ნაკვეთის მესაკუთრემ ან მინდობილმა პირმა უნდა მოითხოვოს აღნიშნულ ბრძანებაში ცვლილება მოთხოვნის შესაბამისად. საკითხის განსახილველად უნდა წარმოადგინოთ მოთხოვნის შესაბამისად დამუშავებული ქალაქგეგმარებითი დასაბუთების სრული ალბომი და შესაბამისი დოკუმენტაცია.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისთვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია. დოკუმენტაციის/ინფორმაციის წარმოსადგენად თქვენ გეძლევათ გადაწყვეტილების ოფიციალური წესით გაცნობიდან 30 სამუშაო დღე. გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

წინამდებარე შუალედური გადაწყვეტილება დამოუკიდებლად არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგს, მისი გასაჩივრება შესაძლებელია საბოლოო გადაწყვეტილებასთან ერთად. განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია, ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მისამართი: ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი